ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის
2023 წლის 9 თვის ანგარიში

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს 2023 წლის დამტკიცებული მუნიციპალური პროგრამის შესაბამისად, ასევე მონაწილეობს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ განსახორციელებელ პროგრამებში. თითოეული პროგრამა მიმართულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ამ გზით დაავადებათა გავრცელების შემცირებისაკენ.

2023 წლისათვის სამსახურის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 17 ერთეულით, ამჟამად ვაკანტურია 2,0 საშტატო ერთეული(იურისტი, ენტომოლოგი).

მუნიციპალური პროგრამის შესრულების მიზნით მერიის მიერ დამტკიცებულია 9 თვის დაფინანსების გეგმა 135 381,0 ლარის ოდენობით, შრომის ანაზღაურება გაიცემა დროულად, დადგენილ ვადებში. თანამშრომელთა შრომის პირობები დამაკმაყოფილებელია.(საშტატო ნუსხა და ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართებში N1 და N2.).

მსოფლიოში პანდემიად გამოცხადებული კოვიდ-19-ის ვირუსული ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ მიმდინარეობს რეგულარული მონიტორინგი, მ/წლის 9 თვეში ჩატარებულია 7946 ტესტი.დადებითი აღმოჩნდა 597 პირი, (2022 წლის შესაბამის პერიოდში ტესტირებული იყო 37116 პირი, გამოვლინდა ინფიცირებული-5597. დადებითობის მაჩვენებელი იყო-16%), დადებითობის მაჩვენებელი-7,5%, გარდაიცვალა-2 ავადმყოფი რისკ-ჯგუფებიდან დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის გამო, მაჩვენებელი-0.33%(2022წელს გარდაიცვალა-2).ამჟამად მუნიციპალიტეტში ცირკულირებს კოვიდ-19-ის "ომიკრონის"ტიპის ვირუსის რამოდენიმე მუტაციური შტამი. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში მ/წ 9 თვეში გრიპისა და მწვავე რესპირატო-რული დაავადებების ხვედრითი წილი 7%-ია,ხოლო კოვიდ- 19-ის -1,43%., დაავადება მიდის კლებისკენ.

2023 წლის 9 თვის მონაცემებით მუნიციპალიტეტში სახელმწიფო კალენდარული გეგმით დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრები მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად (დანართიN3), ვაქცინებით მომარაგება ხორციელდება ცენტრალიზებულად, შეფერხების გარეშე. „ ცივი ჯაჭვის"სისტემა მუშაობს გამართულად.

მ/წლის 9 თვეში გამოკვლეულია ,, B '' , ,,C '' ჰეპატიტზე, შიდსზე და სიფილისზე233 ორსული, (2022 წელს იყო 305 ორსული), გამოკვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა ჰეპატიტ ,, B '' – 8 შემთხვევა (2022 წ. 9 თვეში -7) . ,,C '' ჰეპატიტზე გამოკვლეულ იქნა 4568 სტაციონალური და ამბულატორიული ავადმყოფი (2022 წ.9 თვეში იყო 7280 სტაციონალური და ამბულატორიული ავადმყოფი) გამოვლინდა ,, C '' ჰეპატიტის 106 შემთხვევა(2022 წ. 9 თვეში იყო 164 შემთხვევა).

2022-23 წწ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წითელას შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

2023 წელის 9 თვეში რეგისტრირებულია ტუბერკულიოზის 8 შემთხვევა (2022 წ. 9 თვეში იყო 9 შემთხვევა). ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდ.კვლევა, გამოკვლეული იქნა 22 კონტაქტი .

რეგისტრირებული ტუბ.შემთხვევები გადანაწილდა შემდეგნაირად:

არეშფერანი-1

ლაგოდეხი-1

ცოდნისკარი-1

კართუბანი-2

აფენი-2

გიორგეთი- 1

რეგისტრირებულია ბრუცელოზის 4 შემთხვევა (2022 წ. 9 თვეში იყო -2). ს.ჩადუნიანში 1 შემთხვევა, ს. კაბალი -1, ს. ჭიაური -1, ს. გიორგეთი -1. დაავადების მიზეზი არის თერმულად არასაკმარისად დამუშავებული ხორცი და რძის პროდუქტები.

2023 წ.9 თვეში ლეპტოსპიროზის 12 და ლაიმის დაავადების (ბორელიოზი) 7 შემთხვევა დადასტურდა.(2022 წელის 9 თვეში იყო ლეპტოსპიროზის 8 და ბორელიოზის 1 შემთხვევა) ყველა მათგანზე ჩატარებულია ეპიდკვლევა. ლეპტოსპიროზის შემთხვევები გადანაწილდა შემდეგნაირად: ს. აფენი -3, ს. ფოდაანი -1, ს. ნაწისქვილარი -1, ს. ჰერეთისკარი -1, ს. შრომა -1, ლაგოდეხი -1, ს. მსხალგორი -1, ს. გიორგეთი-1, ს. ვარდისუბანი -1, ს. ჭაბუკიანი -1, ხოლო ბორელიოზის შემთხვევები ასე განაწილდა: ს.კართუბანი -2, ლაგოდეხი -2, აფენი -1, გიორგეთი-1, ჭიაური -1.

2023 წლის 9 თვეში დადასტურდა Q ცხელების 1 შემთხვევა( 2022 წელს Q ცხელების შემთხვევები არ დაფიქსირებულა)

2023 წლის 9 თვეში განმავლობაში სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის შემთხვევები არ დაფიქსირებულა( 2022 წ. 9 თვეში იყო 6) .

დარეგისტრირდა გრიპის – 398(2022 წ. -351 შემთხვევა) და მწვავე რესპირატორული დაავადების 2562 შემთხვევა (2022 წ. 9 თვეში იყო 2455 შემთხვევა).ასევე, დაფიქსირდა ჩუტყვავილას 26 შემთხვევა(2022 წ. იყო -1), ქუნთრუშას 13 (2022 წ. ქუნთრუშას შემთხვევები არ დაფიქსირებულა), სიფილისის 5 შემთხვევა, (2022 წ. იყო 4 შემთხვევა).

2023 წელს დაკბენილია 403 ადამიანი (2022წ. იყო 561 ). ვაქცინაცია ჩაუტარდა403,(2022 წ - 561) , მათ შორის სრული კურსი –85,(2022 წ.- 48), არასრული – 318,(2022 წ. – 193).

გაიხარჯა 1110 დოზა ანტირაბიული ვაქცინა (2022 წ.- 1569 დოზა) და 441 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი.(2022 წ. -473 დოზა)

2023 წ. 9 თვეში ცხოველში ცოფის შემთხვევა არ დადასტურდა, (2022 წ.9 თვეში დადასტურდა ცოფის 3 შემთხვევა: 2-ძაღლში,1-მაჩვი.)

2023 წლის 9 თვეში მალარიის კონტროლისა და პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამით მალარიაზე გამოკვლეული იქნა 107 სისხლის სქელი წვეთი და ნაცხი(2022 წ. 9 თვეში 148 სისხლის სქელი წვეთი და ნაცხი.)

2023 წელის 9 თვეში ჰელმინთებზე ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა 905 ბავშვი,ინვაზირებულია 34,(2022 წელს გამოკვლეული იქნა 630 ბავშვი, ინვაზირებული 23).

მ/წ 9 თვეში შესაბამისი პრეპარატებით დამუშავებულია საცხოვრებელი ბინები და ცხოველთა სადგომები. სულ-120.000 კვ.მ.

საანგარიშო პერიოდში შემოწმებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება და სკოლა. გამოვლენილი ხარვეზების შესახებ მიეთითად, შედგენილია შესაბამისი აქტები, მიეცათ ვადები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. აგრეთვე სასწავლო ტრენინგი ჩაუტარდათ სილამაზის სალონების 32 თანამშრომელს. დამატებით შემოწმებული იქნა 10 სალონი, გამოვლენილი იქნა დარღვევები, მიეცათ კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ვადები მათ გამოსასწორებლად. შემოწმებულ ობიექტებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები არ შედგენილა.

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის სამსახურის დირექტორის მ/შ: /ბ. ხელაძე/

**დანართიN1**

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის“ 2023 წლის საშტატო ნუსხა.

| N | თანამდებობა | განაკვეთი | სახელფასო სარგო თვის მუნიც.პროგრამ. | წლიური |
|---|---|---|---|---|
| 1 | დირექტორი | 1 | 1200 | 14400 |
| 2 | მთავარი სპეციალისტი | 1 | 900 | 10800 |
| 3 | ბუღალტერი | 1 | 960 | 11520 |
| 4 | საქმის მწარმოებელი | 1 | 780 | 9360 |
| 5 | შესყიდვების სპეციალისტები | 1 | 780 | 9360 |
| 6 | იურისტი | 1 | 960 | 11520 |
| 7 | იმუნიზაციაზე პასუხ.ექიმი | 1 | 780 | 9360 |
| 8 | ცივ ჯაჭვზე პას.პირი | 1 | 780 | 9360 |
| 9 | ეპიდემიოლოგი | 3 | 780 | 28080 |
| 10 | პარაზიტოლოგი | 1 | 700 | 8400 |
| 11 | ექიმი პროფილაქტიკოსი | 1 | 780 | 9360 |
| 12 | ენტომოლოგი | 1 | 780 | 9360 |
| 13 | ლაბორანტ-პარაზიტოლოგი | 1 | 510 | 6120 |
| 14 | მნე | 1 | 510 | 6120 |
| 15 | დიასახლისი | 1 | 500 | 6000 |
| | სულ | 17 | 13260 | 159120 |

ნაბეჭდი №2

ა(ა)იპ ლაგოდეხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური

| 06 01 01<br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 2023 წლის 9 თვის გეგმა | | | 2023 წლის 9 თვის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ 9 თვის გეგმა | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. ბიუჯეტი | სულ 9 თვის ფაქტი | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. ბიუჯეტი |
| **შემოსულობები** | 158 999,3 | 23 618,3 | 135 381,0 | 134 847,5 | 13 681,8 | 121 165,7 |
| **შემოსავლები** | 158 999,3 | 23 618,3 | 135 381,0 | 134 847,5 | 13 681,8 | 121 165,7 |
| **სხვა შემოსავლები** | 158 999,3 | 23 618,3 | 135 381,0 | 134 847,5 | 13 681,8 | 121 165,7 |
| სუბსიდია | - | | | - | | |
| ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა | 158 999,3 | 23 618,3 | 135 381,0 | 134 847,5 | 13 681,8 | 121 165,7 |
| თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული პროგრამა | - | - | | - | - | |
| C" ჰეპატიტის,შიდსისდა ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა | - | | | - | | |
| გრანტები | - | | | - | | |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე) | - | | | - | | |
| **ვალდებულებების ზრდა** | - | | | - | | |
| სამინაო | - | | | - | | |
| საგარეო | - | | | - | | |
| **გადასახდელები** | 158 999,4 | 23 618,30 | 135 381,1 | 129 784,6 | 8 618,9 | 121 165,7 |
| **ხარჯები** | 144 449,4 | 11 868,3 | 132 581,1 | 126 984,6 | 8 618,9 | 118 365,7 |
| **შრომის ანაზღაურება** | 124 552,5 | | 124 552,5 | 110 337,1 | | 110 337,1 |
| **საქონელი და მომსახურება** | 19 896,9 | 11 868,3 | 8 028,6 | 16 647,5 | 8 618,9 | 8 028,6 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 1 000,0 | 1 000,0 | | 1 000,0 | 1 000,0 | |
| მივლინებები | 720,0 | 720 | | 720,0 | 720 | |
| ოფისის ხარჯები | 13 358,4 | 5329,8 | 8028,55 | 12 078,6 | 4050 | 8028,55 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | - | | | - | | |
| სამედიცინო ხარჯები | 432,0 | 432 | | 432,0 | 432 | |
| კვების ხარჯები | - | | | - | | |
| რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | - | | | - | | |
| ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 4 386,5 | 4386,5 | | 2 416,9 | 2416,9 | |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | - | | | - | | |
| **პროცენტი** | - | | | - | | |
| **სუბსიდიები** | - | | | - | | |
| **გრანტები** | - | | | - | | |
| **სოციალური უზრუნველყოფა** | - | | | - | | |
| **სხვა ხარჯები** | - | | | - | | |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 14 550,0 | 11750 | 2800 | 2 800,0 | | 2800 |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)** | - | | | - | | |
| **ვალდებულებების კლება** | - | | | - | | |
| სამინაო | - | | | - | | |
| საგარეო | - | | | - | | |
| **ნაშთის ცვლილება** | - 0,1 | - 0,0 | - 0,0 | 5 062,9 | 5 062,9 | 0,0 |

დანართი №3

2023წლის 9 თვეში ლაგოდეხის რაიონში პროფ.აცრების გეგმა ვაქცინაციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით შესრულდა შემდეგი შედეგებით: (შედარებულია გასული წლის შესაბამის პერიოდთან)

| N | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | ვაქცინის დასახელება | გეგმა | შესრ. | % | გეგმა | შესრ. | % |
| 1 | ბცჟ(0-5დღე) | 330 | 253 | 77% | 430 | 323 | 75% |
| 2 | "ბ"ჰეპატიტი(სამშობ. 0- 12 საათამდე) | 330 | 257 | 78% | 430 | 316 | 74% |
| 3 | ჰექსა-3(წლამდე) | 330 | 262 | 79% | 457 | 337 | 74% |
| 4 | როტა-2(წლამდე) | 330 | 225 | 68% | 457 | 281 | 62% |
| 5 | პნევმო-3(წლამდე) | 330 | 295 | 89% | 457 | 338 | 74% |
| 6 | წწყ-1(1 წლის) | 440 | 320 | 73% | 457 | 355 | 78% |
| 7 | წწყ-2(5 წლის) | 530 | 371 | 70% | 508 | 353 | 71% |
| 8 | ტეტრა-1(1წ.6 თვის) | 453 | 325 | 72% | 467 | 356 | 76% |
| 9 | ტეტრა-2(5 წლის) | 530 | 357 | 68% | 508 | 356 | 71% |
| 10 | აპვ-1(10 წლის) | 254 | 170 | 67% | 491 | 198 | 40% |
| 11 | აპვ-2(15 წ-მდე) | 239 | 161 | 68% | 295 | 130 | 44% |
| 12 | ტდ(14 წლის) | 602 | 200 | 33% | 557 | 245 | 44% |

მ/წლის სექტემბრის თვეში მოხდა კონტიგენტის კორექტირება(დაზუსტება) და ამიტომ ცვლილებები შევიდა პროფ.აცრების გეგმაში.

მოცვის პროცენტი დამაკმაყოფილებელია ყველა ვაქცინისთვის, გარდა ტდ ვაქცინისა.ტდ ვაქცინა კეთდება უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში(14 წლიწები) და მათი ვაქცინაცია ამოიქაჩება წლის ბოლომდე.